# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №28

2017 წლის 07 მარტი
ქ. ამბროლაური

**„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტურისტული ცენტრი“ 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №62 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტურისტული ცენტრი“ 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტურისტული ცენტრის“ 2017 წლის პროგრამა“ დანართის შესაბამისად“;

გ) განკარგულებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტურისტული ცენტრის“ 2017 წლის პროგრამა“ ცვლილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ერასტი მეტრეველი